ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 9726198001
თარიღი:17/07/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა

ოქმი N14

დ. ლენტეხი. 16 ივლისი 2026წ

მიმდინარე წლის 16 ივლისს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება 16 (თექვსმეტი) წევრი და საპატიო მიზეზით არ ესწრება 7 (შვიდი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ლიანა ლიპარტელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრის დირექტორი მანიჟა ბენდელიანი , მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევებისა და უნებართვო საქმეთა კონტროლის განყოფილების სპეციალისტი დავით ტვილდიანი. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის -აპარატის უფროსის მ/მ ნაირა ლიპარტელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს წარუდგინა მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ტარიელ აფაქიძე/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 6 (ექვსი) თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

/მომხს**:** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევებისა და უნებართვო საქმეთა კონტროლის განყოფილების უფროსი ქეთინო ფიცხელაური/

3. ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების ანგარიში მიმდინარე წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

/მომხს: ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ლიანა ლიპარტელიანი/

4. **. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრის ანგარიში მიმდინარე წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრის დირექტორი მანიჟა ბენდელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე -16;

წინააღმდეგი -0.

მომხსენებელმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,**ლენტეხის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ**“ და აღნიშნა, რომ დადგენილება შემუშავდა აუდიტის რეკომენდაციების საფუძველზე, საწვავის ეკონომიისა და ოპერატიულობის მიზნით. განისაზღვრა ავტომობილების ორი კატეგორია: განპიროვნებული ავტომობილი, რომელიც განსაზღვრულია ხელმძღვანელი პირებისთვის და იმყოფება კონკრეტული დაწესებულების ბალანსზე. (გადაცემულია საკრებულოს თავმჯდომარეზე, მუნიციპალიტეტის მერზე და მათ მოადგილეებზე). სამორიგეო ავტომობილი, რომელიც ზოგადი სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურეობრივი მივლინებების შესასრულებლადაა განკუთვნილი, ის არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე კონკრეტულ თანამშრომელზე. სამორიგეო ავტომობილების რიცხოვნობა დგინდება შემდეგი პრინციპით: ყოველ 20 საშტატო ერთეულზე 1 სამორიგეო ავტომობილი.

დათო ფურელიანი: აღნიშნული ავტომობილები რამდენად არის მორგებული ადგილობრივ პირობებს, კლიმატსა და რელიეფს.

მომხსენებელმა განმარტა რომ დებულება ეფუძნება მთავრობის დადგენილებას და ზამთრის პერიოდში კლიმატური და რელიეფური თავისებურების გათვალისწინებით დასაშვებია მორიგე მაღალი განმავლობის ავტომობილების არსებობა, რომელიც შეესაბამება სეზონური და რელიეფური ავტომობილების კლასს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა დაუსვა კითხვა მომხსენებელს, რომ ამ დადგენილების შესრულების უზრუნველყოფას ვინ უხელმძღვანელებს.

მომხსენებელმა , აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე შესაბამისი სამსახური არ არსებობს და სავარაუდოდ ეს ფუნქცია ეკონომიკის სამსახურს დაევალება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭის ყრაზე:

მომხრე -16;

წინააღმდეგი -0.

დაადგინეს: აღნიშნული დადგენილება მიღებული იქნას წარმოდგენილი სახით:

,,**ლენტეხის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ**“

2. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევებისა და უნებართვო საქმეთა კონტროლის განყოფილების სპეციალისტმა დავით ტვილდიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა **ანგარიში ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის მიმდინარე წლის 6 (ექვსი) თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ**“ და აღნიშნა, რომ სამსახური ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესაბამისად ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. წარმოადგინა აქტივობები და გაწეული საქმიანობის ჩამონათვალი: მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე შემოწმებულია უსახური და ავარიული შენობა - ნაგებობები და შესაბამისი გაფრთხილებებიც იქნა გაცემული. მაგ. ყოფილი სტამბა -რედაქციის შენობის მეპატრონე იური ჩანქსელიანი იყო გაფრთხილებული სათანადოდ მოეწესრიგებინა, გაემაგრებინა შენობა ან განეხორციელებინა მისი დემონტაჟი, ვინაიდან ავარიულობის და შენობის კედლებიდან დაწყებული ქვათაცვენის გამო საფრთხე ექმნებოდა მოსახლეობას. რამოდენიმეჯერ მიეცა გაფრთხილება ვაჟა ოხიანს მის საკუთრებაში არსებული ყოფილი ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავარიული შენობის მოწესრიგების ან დემონტაჟის მოთხოვნით. დ. ლენტეხში მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის უნებართო მშენებლობისთვის დაჯარიმდა 1000 ლარით მოქალაქე ილამაზ ლიპარტელიანი. რამოდენიმეჯერ იქნენ გაფრთხილებული შპს ,,ავტო-გზა 99“-ის დირექტორი ამირან ზურაბიანი, მოეწესრიგებინა ბეტონის საწარმოს გარე ფასადი და ეზო, რომელიც იერ-სახეს უკარგავს გარემოს. მირიან გარდაფხაძე შპს ,,ლენტეხის მრეწველობა“-ს ხის გადამამუშავებელი საწარმოს გარე ღობის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, შპს ,,ინსის“

წარმომადგენლები, რომლებიც დაბა ლენტეხში წყლის რეაბილიტაციის სამუშაოებს ასრულებენ - თვალსაჩინო ადგილას განთავსებინათ საინფორმაციო ბანერები, აგრეთვე დროულად გაეტანათ სამშენებლო მასალის გამოუყენებელი ნარჩენები, რომელიც შესრულებული სამუშაოების შემდეგ ადგილზე იყო მიმოფანტული. ანზორ გვიჭიანი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართო მშენებლობისთვის. ლევან გაზდელიანი ჭავჭავაძის ქუჩაზე, მის საკუთრებაში არსებული ძველი , უსახური შენობის იერ-სახის მოწესრიგების მოთხოვნით.

გაფრთხილებების შემდეგ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ: იური ჩანქსელიანმა გაითვალისწინა და გააკეთა დამცავი ღობე, რაც შეეხება შენობის მოწესრიგებას დაწყებული აქვს მოსამზადებელი სამუშაოები. ვაჟა ოხიანმა თანა მესაკუთრეებთან ერთად დაიწყო ავარიული შენობის შემოღობვის სამუშაოები. შპს ,,ინსი"-ს წარმომადგენლებმა გამოუყენებელი მასალისგან გაწმინდეს მიმდებარე ტერიტორიები. დანარჩენ შემთხვევებზე მიმდინარეობს დაკვირვებითი სამუშაოები და კანონით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში მოხდება შესაბამისი რეაგირება.

დავით ფურელიანმა მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა: რა ფორმისაა საჯარიმო ქვითარი, ჯარიმის არ გადახდის შემთხვევაში თუ ემატება საურავი მითითებულ თანხას.

დავით ტვილდიანი: საჯარიმო ქვითრის სპეციალური ფორმაა, სადაც არის მითითებული ჯარიმის თანხა. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება დაჯარიმებულს და მეორე რჩება სამსახურში. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმებულის საქმე გადაეცემა სასამართლოს და სასამართლო ახდენს შესაბამის რეაგირებას. ზედამხედველობის სამსახური არანაირ საურავს არ უმატებს.

ირაკლი ქურასბედიანი: რამდენად აქტიურად მიმდინარეობს შარშანდელთან შედარებით უსახურ და ავარიულ შენობა ნაგებობების კონტროლი - გაფრთხილება, ჯარიმები.

დავით ტვილდიანი: შარშანდელთან შედარებით ნამდვილად აქტიურად მიმდინარეობს. შარშან გაფრთხილებებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და წელს კი უმეტესად იქნა გათვალისწინებული გაცემული გაფრთხილებები. არის ჯარიმაც გადახდილი.

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - 16;

წინააღმდეგი -0.

დაადგინეს: აღნიშნული ანგარიში შეფასდეს დადებითად და განკარგულება მიღებული იქნას შემდეგი სახით: ,,**ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 6 (ექვსი) თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ".**

მოისმინეს: ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ლიანა ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა **,,ანგარიში ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების 2026 წლის ექვსი თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ"** მოახსენა , რომ მუნიციპალიტეტში მოქმედებს 18 ბიბლიოთეკა- აქედან ერთი მთავარი ბიბლიოთეკა, ერთი სარაიონო საბავშვო და 16 სასოფლო- 91 228 ეგზემპლიარი წიგნადი ფონდით. ამ ბიბლიოთეკებმა 1 იანვრიდან დღემდე მომსახურეობა გაუწია 4000 მკითხველს, მათზე გაიცა 12050 ეგზემპლიარი. მიმდინარე წლის ექვს თვეში ჩატარებულია სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები. ასევე საბიბლიოთეკო გაერთიანებაში მრავალწლიანი და ნაყოფიერი მუშაობისთვის დირექციამ ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებს გადასცა მადლობის სიგელები. ეს ღონისძიებები ძირითადად მიმართულია წიგნის პროპაგანდისა და მკითხველის მოზიდვის მიზნით.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები ცდილობენ შეიძინონ ახალი სხვადასხვა დარგის ლიტერატურა მკითხველთა მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ამჟამად ჩვენი რაიონის მერის სახელითა და ეროვნული ბიბლიოთეკის კეთილი ნებით საჩუქრად ელოდებიან ახალ წიგნებს. დირექტორმა ხაზი გაუსვა ახალი ლიტერატურის შეძენის საჭიროებას და აღნიშნა, რომ არსებული 500 ლარიანი ბიუჯეტი არასაკმარისია. თუ გამოიჩენთ კეთილ ნებას და ცოტათი მაინც დაგვეხმარებით ფინანსურად საბავშვო ბიბლიოთეკასაც დავაკმაყოფილებთ და ცოტას სარაიონო ბიბლიოთეკასაც მივამატებთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე - 16;

წინააღმდეგი -0.

დაადგინეს: აღნიშნული ანგარიში შეფასდეს დადებითად და განკარგულება მიღებული იქნას შემდეგი სახით: ,,**ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების ანგარიში მიმდინარე წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ".**

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრის დირექტორმა მანიჟა ბენდელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა **,,ანგარიში ლენტეხის მუნიციპალიტეტის ,,ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ".** მოახსენა, რომ საანგარიშო პერიოდში ვეტერინალური კუთხით მომსახურეობა გაეწია 250 მდე სულ სხვადასხვა სახის ცხოველს. მოახდინეს მოსახლეობის მიერ თვით შესყიდული ვაქცინებით მსხვილი რქოსანი პირუტყვის ვაქცინაცია.

საანგარიშო პერიოდში აგრონომები ხვდებიან სოფლის მოსახლეობას აძლევენ მითითებებს

მცენარეების გასსვლაზე, მყნობაზე, ასევე რეკომენდაციები ეწევათ ადრე გაზაფხულზე ხეხილის შეთეთრებაზე , შხამქიმიკატების გამოყენებაზე, რომელ დაავადებაზე რა ქიმიკატია ვარგისიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე - 16;

წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: აღნიშნული ანგარიში შეფასდეს დადებითად და განკარგულება მიღებული იქნას შემდეგი სახით: **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრის ანგარიში მიმდინარე წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ“.**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 14.00 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი